მაია (თათია) პაჭკორია

მარათონული მიტინგების ანატომია და მისი შედეგები (1988- 1989)

1988 წლის 24 ნოემბერი- უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, ეროვნული მოძრაობის ლედერების, ინტელიგენციისა და სტუდენტების შეხვედრა. მთავარი თემა: საბჭოთა კონსტიტუციაში მოსალოდნელი ცვლილება, რომელიც რესპუბლიკებს, საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის უფლებას ართმევს.

01:31მერაბ კოსტავა:

„კარგად უნდა მოგვეხსენებოდეს და უნდა ვიცოდეთ, თუ რას შეუძლია მოიტანოს თავისუფლება. თავისუფლება შეუძლია მოიტანოს მხოლოდ ერთსულოვნებას, როდესაც ერთსულოვანი იქნება დისიდენტი დეპუტატთან და დეპუტატი იტყვის იგივე სიტყვებს, რასაც ამბობენ თავისუფლად მოაზროვნენი“.

01: 55.ზურა ჭავჭავაძე(მიტინგზე):

„მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, თუკი ოდესმე მიუღწევია ჩვენს ერს გამართული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის, ეს მომხდარა იმ პერიოდში როცა ქართველთა უმრავლესობა გაერთიანებულა ეროვნული იდეის გარშემო“

02 :10 დათო ტურაშვილი:

„ბავშვებიც კი, ის პატარა ბავშვები, თქვენ არ იცით იქ რომ სხედან, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას გაუმარჯოსო რომ ყვირიან, იმასაც ყვირიან ჯუმბერ პატიაშვილს გაუმარჯოსო. პატარა ბავშვებიც კი მიხვდნენ იმ ერთობის აუცილებლობას“

02:22 ჯუმბერ პატიაშვილი:

„მოდი დავსხდეთ, ის ფრონტი, რომელიც ერთიანი იქნება, რუსთაველის საზოგადოება, ჭავჭავაძის საზოგადოება, დავსხდეთ, როგორც უკეთესი იქნება ქვეყნისთვის ისე გადავწყვიტოთ.“

02 :31 იზა ორჯონიკიძე:

„მე არ მინდა რომ აკაკი ბაქრაძეს უსტვენდნენ მოედანზე, ზვიად გამსახურდიას ფსევდოპატრიოტს უწოდებდნენ გაზეთებში, მე მინდა სრული კონსოლიდაცია ჩვენი ძალებისა.“

02:45 დათო ტურაშვილი:

„არჩილ სულაკაური კი არა, კალე ბობოხიძე რომ წამოაყენო და თქვას თქვენთან ვართო, ჩვენ ხელი არ უნდა ვკრათ, თანაც ერთი რამე უნდა გავითვალიწინოთ, ჩვენ რომ ხელს ვკრავთ იმ კაცით ჩვენ ვზრდით ჩვენი მტრების რიცხვს და ის კაცი ხვალ ჩვენ შემოგვიბრუნდება.“

03:03 რეზო ამაშუკელი:

„გავერთიანდეთ და გონიერებას მოვუხმოთ, ამას მე არავითარ შემთხვევაში არ მალაპარაკებს არაფერფერი, მე არვარ ის კაცი, რომელსაც ოდესმე რამე ჰქონია, ან რამის დაკარგვის შინებოდა.“

03 :13 იზა ორჯონიიძე:

„მე მინდა ყველამ იცოდეს, რომ ლიდერობისათვის ბრძოლა და ერთმანეთისათვის ჩრდილის მიყენება, სადაც არ უნდა მოხდეს, სწორედ ეს არის ღალატი ქართული საქმისა.“

ახლა ვიმსჯელოთ რამ გამოიწვია მსგავსი ტიპის განცხადებები ამ საერთო ეროვნულ შეკრებაზე. 1988 წლის სექტემბერ- ოქტომბერში ყველა გრძნობიდა რომ ქვეყანაში ახალი ძირეული ცვლილებები უნდა დაწყებულიყო. მოჩვენებითი ერთობის პირობებში პოსტდისიდენტური ორგანიზაციების ლიდერები საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას რადიკალურად განსხვავებული მეთოდებით განაგრძობდნენ. პირველი სერიოზული ბზარი ეროვნულ-პოლიტიკურ ბანაკში მაშინ გაჩნდა, როდესაც ზომიერ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, რადიკალი გიორგი ჭანტურია გამოეყო. ჭავჭავაძის საზოგადოებას კი ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზევე ზვიად გამსახურდიას გაემიჯნა. 1988 წლის 22- 29 ნოემბრის მოვლენები საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთ გარდამტეხ ეტაპად შევიდა. როგორც აღვნიშნე, ამ დროს ქვეყანამ საბჭოთა რეჟიმისაგან მორიგი გამოწვევა მიიღო,მასშტაბური აქცია-შიმშილობა , საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში ცენტრალური ხელისუფლების მიერ შემუშავებულმა ცვლილებამ გამოიწვია. ამ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში 1936 და 1977 წლების კონსტტუციაში ის მუხლი უქმდებოდა, რომელიც თვითოეულ რესპუბლკას საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებას ამლევდა. შედეგად ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან ახლადგამოყოფილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით პირველი ფართომასშტაბიანი მარათონული მიტინგი და შიმშილობა დაიწყო. ასეთი შინაარსი ჰქონდა მიტინგზე გამოთქმულ განცხადებებს:

https://old.1tv.ge/ge/videos/view/428/66.html

04: 56 ზვიად გამსახურდია ამავე მიტინგზე

„ნუ დავუშვებთ მეგობრებო, რომ ველიკორუსული იმპერიალიზმი, კონსტიტუციურად დაკანონდეს.“

05: 29 ზვიად გამსახურდია:

არქივი

„როგორც ცნობილია ეს პროექტი აღელვებს მთელს ჩვენს საზოგადოებრიობას, ის ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკებისთვის თვით ფორმალური სუვერენიტეტის წართმევას. ანუ ის სუვერენიტეტი რაც აქამდე ფორმალურად ქაღალდზე გვქონდა, ისიც არ გვექნება. ასე, რომ ბუნებრივია ესოდენ დიდი მღელვარება საზოგადობის და ახალგაზრდობის, მაგრამ სამწუხაროდ სესიაზე უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა დაიჭირეს საპირისპირო პოზიცია, მათ მოითხოვეს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის შექმნა, რითაც უგულვებელყვეს ჩვენი ახალგაზრების და ერის მოთხოვნები. ამის გამო შიმშილობა გრძელდება, პროტესტები გრძელდება და კვლავ გაგრძელდება.“

ახლა ქვეყნის ბედი საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატების პატრიოტიზმსა და პრინციპულ პოზიციაზე იყო დამოკიდებული, რომელთაც საკავშირო სესიაზე ეროვნული ინტერესები უნდა დაეცვათ.

06: 35 ზვიად გამსახურდია ტრიბუნასთან შეხვედრაზე:

„თუ ისინი არ დაიცავენ ჩვენი ერის ინტერესებს, თუ არ მოითხოვენ იგივეს მოსკოვში, მაშინ მათ ქართველი ერი გამოუცხადებს უნდობლობას და ჩვენ მათ გამოვაცხადებთ მოღალატეებად. (ტონს უწევს, ტაში ხმა გაის-

მის დარბაზში)ეს შეიძლება მწვავე და უკიდურესი გამოთქმაა, მაგრამ ჩვენ მეტი დრო არ გვრჩება ცერემონიებისთვის. ვინაიდან ძალზე საგანგაშო სიტუაციაა, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს ეროვნულ ტრაგედიაში და ჩვენ არავის არ მოვერიდებით.“

რათქმაუნდა საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის იარლიყების ომი მანამდეც იყო, თუმცა ამ შეხვედრაზე წარმოთქმულმა მუქრამ სიძულვილის ენა უფრო გაამძაფრა და ურთიერთობის გარკვეულ ფომად ჩამოაყალიბა.

07: 06 იზა ორჯონიკიძე:„ბატონო ზვიად კონსოლიდაციისა და ერთად ბრძოლისათვის, ნუ მივაკერებთ ჩენ ერთმანეთ იარლიყს, მოღალატე, (ჩოჩ-ქოლი დარბაზში) ხელით აჩერებს იზა ხალხს..

07 :18 რეზო ამაშუკელი:„თუ ის კანონპროექტი კონსტიტუციისა განხორ-ციელდა, მაშინ ჩვენ რა თავში ვიხალოთ ან დეპუტატობა ან მწერლობა ან საერთოდ რამე. (ტაში)იყო იმის ფაქტი, რომ ქართულმა მწერლობამ დატოვა ყრილობათა დარბაზი, მაგრამ არ მინდა ასეთი კატეგორიული ვიყო, მე როგორადაც გინდათ ისე ჩამითვალეთ, მაგრამ დღეს მე, როგორც ქართველ კაცს, მგონია რომ უფრო მეტი სატკივარი და საშიშროება არის ჩვენს თავს. მე არვის არფერისკენ არ მოვუწოდებ, მოვუწოდებ ერთი რამისკენ, რომ დღეს დავივიწყოთ ჩვენი პოლიტიკური პლათფორმა, დავივიწყოოთ ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება, მოგვწონს თუ არ მოგვწონს ერთმანეთი, გა-ვერთიანდეთ და გონიერებას მოვუხმოთ.“

08: 12 მერაბ კოსტავა:

„გავალ თუ არ გავალ, დავჯდები თუ დავრჩები, არა მე ასეთი განცხა-დებით იქ არ წავალ, ასე უნდა თქვას დღეს ქართველმა დეპუტატმა (ყვირის). მე წავალ იმ განცხადებით, რომელიც ბოლომდე ღირსეულია. შეასრულებენ თუ არა იმათი საქმეა, მაგრამ ნათქვამი უნდა იყოს მაქსიმალურად და სრულად, ამიტომ მე მოვუწოდებ, რომ ქართველმა დეპუტატებმა გადახედონ თავის წინადადებას და შეიტანონ იქ მეორე პუნქტში ცვლილება, მოითხოვონ ეროვნული კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუცია.“

კონსტიტუციის პროექტის გამოწვევის გარდა მომიტინგეები საქარ-თველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანების გაუქმებსაც მოით-ხოვდნენ, რომელიც მიტინგებსა და დემონსტრაციებს კრძალავდა. ნოემ-ბრის ბატალიების დროს ასევე უკვე არსებობდა ეროვნული ძალების მიერ შემუშავებული 12 პუნქტიანი მემორანდუმი

09:25 ზვიად გამსახურდია საუბრობს მემორანდუმის პუნქტებზე:

1 „საქართველოს საგანგაშო დემოგრაფიული სიტუაციის მოგვარება;

2 ქართველი ახაგაზრდების მასიური წამების და ხოცვა-ჟლეტის შეწ-ყვეტა საბჭოთა არმიის რიგებში“

3. საქართველოს მოქალაქეობის შემოღება, რაც არასგზით არ ნიშნავს არაქართველთა გაძევებას საქართველოდან. ამით ჩვენ გვინდა გზა გადავუკეტოთ უამრავ გარეშე პირს სხვა რესპუბლიკებიდან, რომლებიც უკანონოდ იტაცებენ საქართველოს მიწებს;

4. სქართველოს წინააღმდეგ ეკოლოგიური ომის შეწყვეტას, რაც გამოიხატება გიგანტური ჰესების მშენებლობაში. წყალსაცავების მშენებ-ლობაში, რაც სჭირდება ხელოვნურად გაზრდილ ინდუსტრიას, რომელიც საქართველოს არ ხმარდება და ქვეყნის ინტერესებს არ ემსახურება.

„ასე სურს თავისუფალ ხალხებს, ასე სურს ისტორიულ აუცილებლობას და რაც მათავრია ასე სურს ღმერთს, რომ ეს იმპერია დაინგრეს. ჩვენი მიზანი და ნებისმიერი ხალხების მიზანი უნდა იყოს ერთი - სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა“ მოუწოდებდა იმპერატიული ტონით მომიტინგეებს ირაკლი ბათიაშვილი და არ ახსოვდა თუ „რა წარსული ლაპარაკობდა“ ჩვენში, რა სამხედრო და ეკონომიკური გამოწვევები ელოდა ქვეყანას რომლის ფულსაც ჯერ კიდევ ლენინის თავი ეხატა.

კონკრეტული მოთხოვნების გარდა, ნოემბრის მიტინგების ლაიტმოტივი, საქართველს დამოუკიდებლობის იდეა იყო, ისმოდა რადიკალური განცხადებები, ეროვნული დაუმორჩილებლობისა და მასობრივი გაფიცვების შესახებ. ძალზედ გამაღიზიანებელი გახლდათ ნებისმიერი ჯანსაღი აზრი, გონიერებისა და რაციონალური მოქმედების შესახებ, რომელსაც მომიტინგეები სტვენით და სკანდირებით ხვდებოდნენ.

11:40 გია ჭანტურია მიტინგზე:

„თუ დიდი კრემლი გამოიტანს ანტიქართულ დადგენილებას, მაშინ ჩვენ მოვუწოდებთ ქართველებს ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ და მაშინვე მოვითხოვთ საქართველომ დასტოვოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობა“.

რათქმაუნდა ასეთი განცხადებები ხალხში ოვაციებს და უდიდეს კმაყოფილებას იწვევდა, თუმცა ამ პათოსს არ ემხრობოდა ეროვნული მოძრაობის ზომიერი ფრთა. აი, რას ამბიობდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ლიდერი, ზურა ჭავჭავაძე 1988 წლის 24 ნოემბერს საზოგადოების წარმომადგენლების დიდ შეხვედრაზე:

11: 55 ზურა ჭავჭავაძე :

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მთავარი მიზანი და ამოცანა რათქმაუნდა გახლავთ საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა. (ტაში.. გთხოვთ არ გვინდა აპლოდისმენტები) ძირითადი ამოცანა არის ილიას მთავარი იდეალის განხორციელება „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს..“ ეს იყო ამ სიტყვების წარმოთქმიდან 120 წლის მანძილზე ქართველი ერის და ეროვნული მოძრაობის მამოძრავებელი იდეა. სხვა საკითხია დღევანდელი პოლიტიკური ვითარება გვაძლევს თუ არა დღესვე დავაყენოთ საბჭოთა კავშირიდან ჩვენი გამოსვლის საკითხი, ჩვენის აზრით არ გვაძლევს. გთხოვთ, სწორად გაგვიგოთ,შესაძლოა ვცდები და დღესვე შეიძლება, თუმცა ჩვენი აზრით დღეს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფაზე საუბარი არის ნაადრევი და როგორც ბატონმა დაიყვირა დარბაზიდან, არარეალური“.

13 :37ირაკლი ბათიაშვილი იმავე შეხვედრაზე (არქივი)

„თუკი პროექტი არ იქნება უარყოფილი და უცვლელად დამტკიცდება, მაშინ ეს სესია ისარგებლებს საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლისა და საკავშირო კონსტიტუციის 72-ე მუხლს უფლებებით და მოითხოვს კავშირიდან გასვლას.“

პოლიტიკური რეალიზმის აღქმის დეფიციტის გამო ეროვნული მოძრაობის ორ ფრთას შორის არსებული პოზიციური სხვაობა 1988 წლის 22-29 ნოემბრის მრავალათასიანი მარათონული მიტინგების საერთო ფსი-

ქოლოგიურ განწყობას არ დატყობია. ბზარი ეროვნული იდეით ერთ მუშტად შეკრული ხალხისთვისაც შეუმჩნეველი იყო. ეროვნული მოძრაობის რადიკალური ნაწილი მიიჩნევდა, რომ ნებისმიერი დიქტატორული და ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლებოდა ზომიერი მეთოდებით, რადგან ქვეყანა ეჯახებოდა იმპერიას და ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდათ.

ამ დროს საინტერესოა რას ფიქრობდნენ „რუსთაველის საზოგადოებაში“

14: 12 რეზო ამაშუკელი:

მე ჯერ კონსტიტუცია კი არა ყველაფერი ეროვნული მინდა, მაგრამ არ დაგვემართოს მეთევზისა და მებადურის ამბავი, სამი თვის ბავშვი არ შეიძლება დაიბადოს. ბავშვი უნდა დაიბადის 9 თვის და ოდნავ მოვიკრიბოთ გონება.“

15: 00 1988 წელი „საქართველოს მატიანე“

მაშინ ახალი პოლიტიკური რეალობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შქმნას კინორეჟისორები მერაბ კოკოჩაშვილი და თემურ ჩხეიძე ცდილობდნენ, ისინი თვალს ადევნებდნენ ნოემბრის აქციებს და მათ მიერ დატოვებული ვიდეომასალა, რომელიც „საქართველოს მატიანეს“ სახელით არის დაცული არქივში ამ პერიოდის მკვლევართათვის ფასდაუდებელი განძია. სწორედ ამ მასალის საშუალებით აღმოვაჩინე ექსკლუზიური ინტერვიუ ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთის წარმომადგენელთან, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ გია ჭანტურიასტან :

„სწორედ ამაშია პერმანენტულობის ხიბლი და ეშხი და ძალა რომ... აი დავუშვათ იმართება ერთი მიტინგი, 12 ნოემბერს რომ გავმართეთ, კარგი მიტინგი იყო, ხალხი ასე ამბობს. დაიშალე მერე ხალხი და წავიდა და მომავალ შეხვედრამდე როგორც იტყვიან...ეს უკვე ყოველღიურად რომ მიმდინარეობს ერთი კვირის განმავლობაში, ეს არის ყოველდღიური სკოლა და გამოცდილება. პოლიტიკური ბრძოლის ყოველდღიურობა ზრდის ამ უხეშად რომ ვთქვათ ობივატელს. იმას კი არ ვამბობ რომ უნდა ვიჯდეთ მთელი წლის განმავლობაში და დავიხოცოთ, რომ ვიღაც აღვზარდოთ. დღეს ეს ფორმა ხვალ ის ფორმა ზეგ სხვა, მაგრამ განუწყვეტლივ მიტინგით, დემონსტრაციის, ეროვნული დაუმორჩილებლობით, გაფიცვებით, შიმშილობებით, პეტიციებით, მანიფესტაციებით ყველანაირი პოლიტიკური საშუალებით და არა ის, რასაც ჩვენ მოგვაწერენ რომ ვიღაცას მოკვლას ვუპირებთ, ვიღაცას განდევნას საქართველოდან. ამ ყოველდრიურობას თუ მივაღწიეთ და მგონი ვაღწევთ , რადგან სექტემბრიდან ეს ჯაჭვი გრძელდება, ჩვენი ერი ნიჭიერი ერია, მას არ უნდა დიდი ხნის წვრთნა და სწავლება, ძალან მელა შემლებს გაარკვიოს სად არის თეთრი და სად შავი. მთავარი ისაა, ჩვენ არ დავუშვათ რაიმე შეცდომა.“

თავდაპირველად აქციაზე, მართლაც კონკრეტული მოთხოვნები ისმოდა, რომელსაც მხარს უჭერდა როგორც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ისე საქართველოს მმართველი ხელისუფლება, თუმცა მთავრობის სახლის წინ მიმდინარე აქცია სულ უფრო რადიკალურ და თეატრალიზებულ სახეს იღებდა.

ჯუმბერ პატიაშვილი: 18 :14 „ნოემბრის აქციების შინაარსი ჩემთვის გასაგები და მისაღები იყო, უბრალოდ გაუგებარი იყო ის აჟიოტაჟი, რომელი შემდგომ ეტაპზე გამოიწვია ამ აქციამ. საბოლოოდ ჩაითვალა, რომ სახელმწიფომ, კომუნისტური პატიის გარკვეულმა ძალებმა გამოიყენეს ეროვნული მოძრაობა და ოპოზიციური ძალები ამ საკითხის გადასაწყვეტად. საქმე ეხებოდა თვითგამორკვევის საკითხის ამოღებას კონსტიტუციიდან, რომლის წინააღმდეგები გახლდით მე და ჩემი კოლეგებიც. ეს საკითხი განხილული გვქონდა და პირველად ეს განცხადება გავაკეთეთ სამედიცინო ინსტიტუტში სტუდენტებთან შეხვედრის დროს და კატეგორიულად გამოვაცხადეთ რომ ამ საკითხის ასე მიღება სესიაზე არ მოხდება, ჩვენ ამის წინააღმდეგნი ვართ. ქრონოლოგიურად რომ მოგიყვეთ, საინტერესო ის არის, რომ ეს იყო 18 -19 ნოემბერი, 21 ნოემბერს ჩავატარეთ პრეზიდიუმის სხდომა, განხორციელდა პირდაპირი რეპორტაჟი , პრეზიდიუმის სხდომიდან , რაც იშვიათი შემთხვევა იყო და გამოვაცხადეთ, რომ ჩვენ წინაღმდეგნი ვართ თვითგამორკვევის საკითხი ამოღებული იყოს კონსტიტუციიდან...“

პერმანენტული მიტინგები მაინც დაიწყო, ისმოდა იმპერატიული ტონით გამოთქმული მოსაზრებები. ეროვნულ-პოლიტიური ბანაკი არაფრად აგდებდა ქართველი კომუნისტების სულისკვეთებას, იქამდე ინტელიგენციას არ დაუფასეს საკუთარი ცოდნა, ძალისხმევა და პატრიოტიზმი. დოკუმენტურ ფილმში „საქართველოს ქრონკები“ მერაბ კოკოჩაშვილი გიორგი ჭანტურიასთან დიალოგისას ცდილობს მომზადოს საზოგადოებრივი აზრი ეროვნული ძალების კონსოლოდაციისთვის, ამბობს, რომ ის ვერ ხედავს ამ ერთობას . მას მიაჩნია რომ თავისუფლებისთვის ბრძოლაში ყველა ქართველს აქვს მონაწილეობის უფლება და საზოგადოების არცერთმა ფენამ არ უნდა დაკარგოს სოციალური სტატუსი.

გია ჭანტურიას პასუხი ასეთია: 23 : 35 „საჭიროა მხოლოდ ჯანსაღი ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, ხოლო ის ვინც მოუწოდებს ხალხს ცეკასთან კონსოლიდაციისკენ, არ მინდა ახლა კიდე კონკრეტული პირების დასახელება, იმათთან კონსოლიდაციისკენ, ის ფაქტიურად ერის მტერია ანდა შეუგნებელი,რადგან კონსოლიდაცია შეიძლება მხოლოდ იმ ძალებთან, რომელთაც მართლა სურთ საქმის გაკეთება.“

24: 25 მერაბ კოკოჩაშვილი:-თქვენ რადიკალური პარტიის წარმომადგენელი ბრძანდებით არა ?

გია ჭანტურია: - დიახ რადიკალი ვარ

მერაბ კოკოჩაშვილი: - მე მაგალითად წინააღმდეგი ვარ ისეთი ტერმინების, როგორც არის მტერი, ადამიანი არ შეძლება იყოს მუდმივად მტერი ან მოყვარე, ადამიანი სულ განვითარებაშია, ვერ ვიზიარებ აზრს რომ თქვენ შეიძლება გაყოთ ჩვენი საზოგადოება ასეთ საპირისპირო ძალებად, როდესაც საქმე ეროვნულ მრწამსს, ეროვნულ იდეას და ილია ჭავჭავაძის გზას ეხება.“

ვფიქრობ ამ დიალოგს კომენტარი არ სჭირდება.

საარქივო მასალამ შემოგვინახა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორეს გამოსვლა ამ ბატალებთან დაკავშირებით: 26: 20 „ძალიან ბევრია ემოციები, ეს სწორიც არის, მაგრამ ჩვენ გვჭირდება წინდახედული

ნაბიჯები, და ნუ დაგვავიწყდება, რომ მხოლოდ ემოციებით ვერაფერს გავაკეთებთ და ავაშენებთ, მე მინდა ჩემი სახელით, ჩვენი ეკლესიის სახელით, ჩვენი მორწმუნე ერის სახელთ გთხოვოთ, ჩვენს დეპუტატებს, რომელნიც წარსდგებიან საკავშირო უმაღლეს საბჭოში, რომ ის სულისკვეთება , რაც არის ჩვენს ერში, ღირსეუად წარმოადგინონ იქ მოსკოვში. ღმერთმა დაგლოცოთ, მე იმედით ვუყურებ ჩვენს მომავალს.“

მოსკოვში ქართული დელეგაციის ვიზიტამდე მთავრობის სახლის წინ ვითარება სულ უფრო იძაბებოდა, რადიკალური განცხადებები ისმოდა როგორც აქციაზე, ისე უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ დარბაზებში. ამ მხრივ განსაკუთრებით უტაქტო და შეურაცხმყოფელი კომუნიკაციით გამოირჩეოდა ზვიად გამსახურდია. მან ეჭვი შეიტანა საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატების კომპეტენციაში, რასაც არ შეიძლება სამომავლოდ მათ შორის პიროვნული შუღლი არ გამოეწვია. სარქივო ჩანაწერი ცხადყოფს, თუ როგორ მიმართავს ის დეპუტატებს:

30: 08 „ამჟამად დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს დეპუტატთა უმრავლესობამ, ვინც იქ ჩვენი ინტერესები უნდა დაიცვას, კარგად არც იცის, რას მოითხოვს ქართველი ერი კონსტიტუციასთან დაკავშირებით და რატომ შიმშილობენ ის ადამიანები. (სუსტი ტაში) და ამის გამო მე გადაუდებლად მიმაჩნია ჩვენი შეხვედრა ჩვენი საუბარი და მოშიმშილეთა ულტიმატუმის წაყენება მათთვის, ვინაიდან მე მგონი მათ წარმოდგენა არ აქვთ არცერთს, ბატონ თამაზს არ ვგულისხმობ, (თამაზ გამყრელიძე) მაგრამ უმრავლესობას წარმოდგენა არ აქვს რაზე შიმშილობს ის ხალხი...“

ამ დროს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტაციამ კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო, კერძოდ: უმაღლესი საბჭოს სესიაზე ითქვა,რომ საქართველოს უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტლებით, კონსტიტუციის ის ვარიანტი, რომელიც შემოთავაზებულია განსახილველად, მოზანშეუწონელია განხილვისათვის.

31: 46 რეზო ამაშუკელი: ჩვენც, იმ საზოგადოების პრეზიდიუმმა, რომელსაც მე წარმოვადგენ, სრულიად უარვყავით ამ კონსტიტუციის პროექტი ერთხმად, ჩვენც კაცები ვართ და ჩვენც გვაქვს ქართველობა და თავმოყვარეობა. არავიზე ნაკლებად მიგვაჩნია ჩვენი პატრიოტული გრძნობა და რა გადაწყვეტილებაც მივიღეთ ის იყო ჩვენი დამოკიდებულება ამ კონსტიტუციის მიმართ. ამიტომ არ არის იმის დრო დავუპირისპირდეთ ერთმანეთს. ვინ როდის დაასწრო, ვინ როდის თქვა , ვინ სად მიდის, ვინ სად მოდის..

32: 25 თამაზ გამყრელიძე: ბატონმა გიგამ ახსენა (გიგა ლორთქიფანიძე) ჩვენმა უმაღლესი საბჭოს სესიამ ეს გადაწყვეტილება მიიღო, მართლაც არნახული გადაწყვეტილება მთელი ისტორიის მანძილზე საბჭოთა საქართველოს არსებობის და ეს არის დიდი მიღწევა და ნაბიჯი წინ, ახლა ბრძოლა თქვეზე არისო, თქვენი მოვალეობა და ამოცანაა ეს გაიტანოთ ბოლომდე და ჩვენ გამარჯვებამდე მიგვიყვანთო.“

მთავრობის სახლის წინ ვნებათაღელვა მაინც არ ცხრებოდა. მოშიმშლეთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა, ნოემბრის წვიმიანი ამინდის გამო მათ (500 ადამიანი) დიდ პოლიეთილენის პარკი გადააფარეს, არქივს

შემორჩა კადრები, სადაც პლედებში გახვეულ ადამიანებს პოლიეთილენის დიდი რულონებს აფარებენ. ამ გადასახედიდან და ზოგადი ფონიდან გამომდინარე შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამდენად ესთეტიური სანახავი იყო პოლიეთილენის პარკიის ქვეშ აზელილი ლეიბი, პლედი და ადამიანი.

ირაკლი წერეთელი: 33:19 ჩვენ ვიყავით თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალა და ჩვენც თუ ის მოთხოვნები უნდა გვეტრიალებინა, რასაც კომუნისტები ატრიალებდნენ, მაშინ ჩვენი არსებობა რაღა საჭირო იყო. პოლიტიკურმა ძალამ რომ იარსებოს ხომ უნდა განსხვავდებოდეს სხვისგან..“

ვფიქრობ ეს მოსაზრება კომენტარს არ საჭიროებს, თუმცა არც ზვიად გამსახურდიას შეუცვლია ტონალობა.

33: 57 „მე-4 დღეა ეს ადამიანები შიმშილობენ და ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლები არ ჩანან იქ, არ გამოდიან სიტყვით და არ ესაუბრებიან მათ. არ ამხნევებენ და არ აინტერესებთ ამათი სულიერი მდგომარეობა. მე მოვუწოდებ ყველა აქ დამსწრეს, რომ ხვალ 11 საათზე მობრძანდეს იქ და გამოთქვას თავისი აზრი, ესაუბროს ამ ადამიანებს, ხვალ 11 საათზე იქ იქნება მიტინგი. წინაღმდეგ შემთხვევში იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ისინი მიტოვებულნი არიან და თქვენ არ გაღელვებთ მათი ბედი, ვისი მისამართით ვსაუბრობ ამას მგონი გასაგებია...“

იზა ორჯონიკიძე : 34: 43 „ჩვენ უნდა მივიდეთ იმ ბავშვებთან და მათი მოთხოვნები მივიტანოთ იქ სადაც საჭიროა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არცერთი ადამიანი ბატონო ზვიად, ვისაც საქართველოში გული ქართული საქმისთვის უძგერს, არ გრძნობდეს თავს მიტოვებულად.“

ინტელიგენცია, რომელიც მიტინგებზე გამოჩენას ერიდებოდა, საერთო ეროვნული განწყობის მხარდაჭერას მაქსიმალირად ცდილობდა და ეროვნული მოძრაობის რადიკალურ ფრთას პოლიტიკური რეალიზმისაკენ მოუწოდებდა,რაც იმ პერიოდში ყველაზე არაპოპულარული ქმედება გახლდათ, განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

გიგა ლორთქიფანიძე: 35:22 „ოდნავ მაინც ხომ უნდა შეცვლილიყო მდგომარეობა, რომ ამ ხალხს რაც შეეძლო ის გააკეთა, მომავალი კიდე საბრძოლველი და მოსაპოვებელია, ამიტომ როგორც უკვე მამას და ბაბუას, მე არ შემიძლია მშვიდად ვუყურო იმ გადაფითრებულ გოგოებს და ბიჭებს. მიმაჩნდა და მიაჩნია რომ არ არის ეს სწორი აქცია და ეგებ ისე გადაგვეწყვიტა საკითხი რომ დაგვეცადა 29-მდე. თუკი წინა დღით დაიწყო ეს პროტესტი და მეორე დღეს მთავრობამ გარკვეული გადაწყვეტილება მიიღო, იქნებ იმასხურებდა ჩვენი და რესპუბლიკის გადაწყვეტილება დროებით ნდობას მაინც, რომ ეს აქცია არ გაგრძელებულიყო და დავშლილიყავით იმისთვის რომ დაგვეცადა და თუ 29-ში არ გაკეთდება ეს ამბავი უფრო მკაცრ ფორმაში გაგვეგრძელებინა აქცია..“

საარქივო მასალებს შემორჩა 1988 წლის 27 ნოემბრის ღამეს ერთ-ერთი მომიტინგეს ჩახლეჩილი ხმა.

36: 30 უცნობის ხმა: „გაიმართა ე.წ. ქართველი ინტელიგენციის შეკრება, სადაც გამოვიდნენ და ნიანგის ცრემლები ღვარეს იმის გამო რომ თურმე უკვე 7 დღეა ახალგაზრდობა შიმშილობს და ახლა გამოემართა აქეთ მხსნელი

დელეგაცია, რომელიც რატომღაც მხოლოდ 7 საათზე ღელავს და იქამდე ხმა არ ამოუღიათ არასოდეს. უბრალოდ ეს ის მომენტია, როდესაც ხვალ მაგ ხალხს მოუწევს საკუთარი სინდიდის დონე არ აძლევს იმის უფლებას რომ აქ არ მოვიდეს ხვალ, როდესაც მთელი ერი აქ უნდა იყოს, ამიტომ დაიწყეს რაღაც გამოსავალი მოქმედებების ძებნა."

37: 24 დათო ტურაშვილი: „მდგომარეობა მართლაც მძიმეა აი დავიარეთ დღეს თბილისში რაღაც წერტილები უკვე ისეთი ვითარებაა წაქეზებაც არ უნდა და სტიქიურად მიდის პროცესი. წინასარევოლუციო პერიოდია, ცუდად რომ შევადარო..."

ამ დროს რუსთაველზე მობილიზებულია სასაწრაფო დახმარების მანქანები, მარათონული მიტინგის სულისკვეთება კი სულ უფრო პესიმისტური და შეურიგებელი ხდება. გთავაზობთ მომავალში სახალხო პარტიის ლიდერის, იმ დროს კი ეროვნულ-დემოკრატიული გუნდის წევრის, მამუკა გიორგაძის საარქივო ჩანაწერს:

„ჩვენ არ ველოდებით კრემლის გადაწყვეტილებას, იმიტომ რომ მისგან რეალურად არაფერს არ ველით. გუშინ სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლის შემდეგ,გარკვეული ვადის მიცემისა და მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, რომელსაც მივცემთ მთავრობას, გამოვაცხადებთ ეროვნულ დაუმორჩილებლობას. ხვალიდან საქართველოში იქნება მასიურად გაფიცვა. რამდენიმე ქარხნის წარმომადგენლები მოვლენ აქ გაფიცულთა სახელით. იქნება მოწოდება ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ და ჩვენ შევეცდებით მშვიდობიანი გზებით, მივაღწიოთ ჩვენს მიზანს, ქართველი ერის განთავისუფლებას მონობისგან, დამოუკიდებელი, თავისფალი საქართველოს შექმნას.."

ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მოწოდებამ შიმშლობისა და დაუმორჩილებლობის შესახებ მთელი საქართთველო მოიცვა, ვითარება იმდენად უმართავი გახდა, რომ ქვეყანაში რუსეთის ჯარების შემოყვანაზე ალაპარაკდნენ.. ამ დროს ემოციურ ეგზალტაციაში მყოფი ზვიად გამსახურდია, რომელსაც გვერდს მისი მომვალი დაუძინებელი მტრები უმშვენებენ მიტინგზე ასეთ სიტყვას წარმოთქვამს.

39:18 „მეგობრებო ჩვენ გვემუქრებიან სამხედრო მდგიმარეობით, საქართველო მთელი თავის ისტორიის მანძილზე სამხედრო მდგომარეობაში იყო. ნუ შეგვეშინდება მტრის მუქარისა, ჩვენ უძლეველნი ვიქნებით თუ ერთად ვიქნებით, თუ მთელი საქართველო დაირაზმება, თავისი კანონიერი უფლებების დასაცავად."

ამ დროს ბაქოში უვე უმართავი პროცესებია და სისხლი დაიღვარა. ერის ჯანსაღად მოაზროვნე ნაწილი შიშობს სამხედრო მოქმედებებმა საქართველოში არ გადმოინაცვლოს.

იზა ორჯონიკიძე: „მეგობრებო ამიერკავკასიაში სისხლი იღვრება, შეყვანილია ჯარი სომხეთსა და აზრბაიჯანში, ნახიჭევანში დაახლოებით 120 კაცია დაღუპული, აუცილებელია ჩვენმა ახალგაზრდობამ და ჩვენმა თაობამ შეაფასოს ის სიტუაცია, რომელიც ამიერკავკასიაში შეიქმნა. სრულიად თამამდ უნდა განვაცხადო, რუსეთში მთავრობის რომელი წარმომადგენელისა არ ვიცი, უგონო და წინდაუხედავი პროექტისა რომელიც

შესთავაზეს ერებს, (ასე ხდება გამოაცხობენ დოკუმენტს და მერე იტეხე თავი რესპუბლიკებმა)...ასე არ უნდა იყოს."

40:50 დათო ტურაშვილი „მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სხვა ძალებიც არიან, რომლებსაც უნდათ რომ საქართველოშიც განმეორდეს იგივე, არ მივცეთ მოსკოვს იმის საფუძველი ჯარები შემოიყვანონ აქ. ჩვენ არავითარ შემთხვევაში ამაზე არ უნდა წავიდეთ..."

41:03 მიტინგი, ირაკლი ბათიაშვილი:„თქვენ ალბათ ყველას გესმით ამ ბოლო ჟამს და ბოლო დღეებში, თუ როგორ მუდმივად გვაშინებენ სისხლისღვრის შესაძლებლობით და ავრცელებენ ურცხვ ჭორს და ხმებს იმის შესახებ, თითქოს ჩვენ გსურს სისხლისღვრა. სისხლისღვრა ჩვენ არ შეიძლება გვსურდეს, სისხლისღვრა სურთ იმ ადამიანებს, რომელნიც ამის შესახებ ათასგვარ ხმებს ავრცელებენ, მაგრამ ერთი რამ უნდა გავითავლისწინოთ, თუკი ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის მიღწევისათვის დასჭირდა მსხვერპლის გაღება, ქართველი ხალხი ვალდებულია გაიღოს ეს მსხვერპლი, რადგან რომაელების თქმით ერის კეთილდღობა უზენაესი მიზანია..."

ამ დროს მიტინგზე სასაწრაფო დახმარების 12 ბრიგადა მორიგეობს, სათბურებს არიგებენ და პოლიეთილენის პარკის ქვეშ მყოფი 500-მდე მოშიმშილე გულშემატკივრებთან ეთად ძილბურანში ელოდება კრემლის გადაწყვეტილებას. არიგებენ ასევე ცხელ და ცივ წყალს და პოლიეთილენის კიდევ უფრო დიდ საბურველში გახვეული ერის ამაყი შვილები ასე განაგრძობენ ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას."

43:31 გია ჭანტურია: „შიმშილობა არის პროტესტის პასიური ფორმა, პროტესტის ამ პასიურ და უკიდურეს ფორმას მიმართა საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ, მისმა აქტივისტებმა და ჩვენდა საბედნიეროდ და ეროვნული მოძრაობის საკეთილდღეოდ ბევრმა ქართველმა დაუჭირა მხარი.ეს მასიური აქციაა 500 კაცი შიმშილობს, მაგრამ ასობით და ათასობით ადამიანი ჩვენს მიტინგებს ესწრება და ჩვენს აზრებსა და შეხედულებებს იზიარებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ ჩვენი აქცია, მხოლოდ პასიურ ფორმას ატარებს. ჩვენ ნათქვამი გვაქვს რომ 29-ში შიმშლობა შეწყდება და თუკი საკავშირო მთავრობა და კრემლი არ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს, მაშინ ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ ერს ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ. ეს იქნება გაფიცვები, დემონსტრაციები მიტინგები, რომელიც გამოიწვევს ე.წ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პარალიზებას. ჩვენ ამ პარალიზებით გვინდა მივაღწიოთ საქართველოს დამოუკიდებლობას. არცერთ ჩვენს აქციას არ ჰქონია ისეთი რეზონანსი, როგორც ამ ჩვენს აქციას, რადგან ეს პერმანენტიზმი და განუწყვეტელობის ფაქტი შიშის ბარიერს ალახვინებს, ცოტა უხეშად რომ ვთქვათ ობივატელს, ვისზეც ჩვენ ვმუშაობთ და ვისი სულის დაპყრობაც კარგი გაგებით ჩვენ გვინდა. ეს შიშის ფაქტორი თუ დაძლეული იქნება, ხვალ და ზეგ საქართველო მთლიანი იქნება და არ იქნება გაყოფა თამამებად ნაკლებ თამამებად და ობივატელებად."

45: 06 თამარ ჩხეიძე: „როდესაც ქვეყანას ეროვნული ტალღა მოედო შესაძლოა კონკრეტული ადამიანების განზრახვა ძალზედ კეთილი იყო, მაგრამ მთლიანობაში ასეთი არასერიოზული და ეგზალტირებული მიმარ-

თულებით წარმართვა ეროვნული მოძრაობის არ იყო სწორი. რაღაც ეტაპზე შესაძლოა ეს საჭირო ყოფილიყო, მაგრამ საქართველოში ამან მიიღო ძალიან არასერიოზული და არასასურველი ხასიათი.... ჩვენ პროტესტის ასეთ ფორმებს ყოველთვის უარყოფითად ვუყურებდით, თვით აპრილის აქციებზე ჩვენ გამოვაცხადეთ მჯდომარე აქცია და შიმშილობა არ დაგვიწყია“

საარქივო მასალა ცხადყოფს რომ ასეთ მიტინგებზე ხშირი იყო ჩოჩქოლი, უსაგნო დისკუსიები და საპირისპირი აზრის მიუღებლობა. ხალხს ასევე საკუთარი აზრის გამოთქმა უნდოდა და ხშირად ითხოვდა მიკროფონს, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის ხელში იყო და მისი ვიზის გარეშე არავის აძლევდნენ: „ამ კაცს დავალება აქვს მიცემული ეროვნულ-დემკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტისაგან, რომ კომიტეტის ნებართვის გარეშე ეს კაცი მიკროფონს ვერავის ვერ მისცემს. ამიტომ ტყუილა ნურავინ შეაწუხებთ მას.“- მიმართავდა გიორგი ჭანტურია აღტკინებულ მომიტინგეებს.

46: 38 ფიქრია ჩიხრაძე: „განსხვავებული აზრი და პოზიცია რომ არ გვიყვარდა, ჩვენ გვემჩნეოდა ეროვნული ოძრაობის გარიჟრაჟზე. დამემართა ასეთი რამ, მაშინ ჩვენ სახელით და გვარით ყველა გვიცნობდა მთელ საქართველოში, უბრალოდ არ იცოდნენ სახეზე როგორ გამოვიყურებოდით, რადგან ტელევიზია ჩვენ არ გვაშუქებდა. მაშინდელ მიტინგებს ახასიათებდა ასეთი რამ : მუდმივად ისმოდა სკანდირება მიკოროფონი, მიკროფონი,მაგრამ ვის უნდა მოეტანა ეს მიკროფონი არ ვიცი. მეგაფონით იყო მოწოდება, რომ მიკროფონი მოვითხოვოთ, ეტყობა კომუნისტებს მოჰქონდათ ეს მიკროფონი ...მე არასოდეს ასეთ კოლექტიურ სკანდირებაში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან არ შემიძლია ასეთი რამ და არ დამიყვირია. ეს შემამჩნიეს ჩემს გარშემო მდგომმა ადამიანებმა, რომ მე არ ვყვიროდი. შემდეგ უცებ რაღაც მოწოდება გაჩნდა რომ დავიჩოქოთ და მითუმეტეს დაჩოქება რუსთაველზე ვერანაირად ვერ წარმოვიდგინე. რატომ უნდა დამეჩოქა და საშინელი რისხვა და აგრესია გამოვიწვიე გარშემომყოფთა მხრიდან . ახალგაზრდა ქალები და კაცებიც იყვნენ, მაგრამ ძირითადად კაცები გამოირჩეოდნენ ძალიან სერიოზული აგრესიით და მიპირისპირდებოდნენ. ისმოდა ასეთი სიტყვები, რომ ამას ჩვენთან ერთად ყვირილი არ უნდა და რამე სხვა საქმეში გამოგვყვება? ასეთებით რომ არის სავსე ეს ქვეყანა და მე ძალიან გაოგნებული და გაკვირვებული ვისმენდი ამ ყველაფერს. მერე ვიღაც უნივერსიტეტელი კაცი იყო, რომელმაც მიცნო და დაინახა და მიხვდა რომ მე მეჩხუბებიან და იმ ხალხს უთხრა: ეს ფიქრია ჩიხრაძეა და რატომ ეჩხუბებითო. ჩემი სახელის ხსენებზე შეიცვალნენ ეს ადამიანები, რომ ვაიმე ფიქრია ყოფილა და დამიწყეს მოფერება, მაგრამ მაშინ პირველად დავრწმუნდი, რომ ქართული საზოგადოება, ცოტა ეგზალტირებულ გარემოში თუ მოხვდი, როგორი შეუწყნარებელია განსხვავებული აზრის მიმართ .“

48: 57 ნოდარ ნათაძე: სახალხო ფრონტის ლიდერი

„ბალტიისპირეთში მიტინგები იყო ხანმოკლე. მიტინგზე ინფირმაცია, გამოითქმოდა, პოზიციები გამოითქმოდა, რეზოლუცია მიიღებოდა და მიდიოდნენ სახლში. ყოველი მიტინგი ემსახურებოდა განთავისუფების პროცესს. ჩვენ ეს ვერ შევძლით, ჩვენს მიტინგებზე იყო ორთქლის გამოშვება.

მე კოშმარივით მახსოვს, გამოდის ერთი ახალგაზრდა ლიდერი და ამბობს: ავაფეთქოთ ქაჯეთის ციხე! ქაჯეთის ციხე ერქვა მაშინდელ ცეკას შენობას. და ორი ჭაღარა მანდილოსანი დგას, შესცინინებს და ტაშს უკრავს, უი შენი ჭირიმე შვილო რა კარგად ლაპარაკობ. ასეთი ვითარება ბალტიისპირეთში არ იყო. ქუჩაში მასის გამოყვანით ვერავის ვერ გააკვირვებ. მსოფლიოში არის რამდენიმე ასეული ქალაქი თბილისზე დიდი, სადაც ორმაგი და სამმაგი მასის გამოყვანა შეიძლება. ფიდელ კასტრო რომ გამოდიოდა კუბაში მილიონი კაცი იკრიბებოდა იქ. როცა ქუჩაში გამოდიხარ ეს ხალხი უნდა გამოიყვანო როგორც რაზმი და არა მასა. ორგანიზებული სახე როცა აქვს ამ ყველაფერს ხალხის ფსიქოლოგიაც სხვაა. როდესაც კაცს ეძახი მიტინგზე, როგორც მასის ელემენტს ის მოქმედებს როგორც მასის ელემენტი, არა-რაციონალურად, როცა იმას ეძახი, როგორც რაზმის ჯარისკაცს ის მოქ-მედებს პასუხისმგებლობით და რაციონალურად. ეს იყო ჩვენი უდიდესი მინუსი, ობიექტური საფუძვილს მქონე, მაგრამ მაინც მინუსი, რომელიც ჩვენ არ გვეპატიება..

50:41 ჯუმბერ პატიაშვილი: „ამას ჩვენ გვედავებოდნენ მარტო ჩვენი კოლეგები კიარა, ბალტიისპირელებიც გვეუბნებოდნენ, რატომ ტარდება მიტინგები მთავრობის სახლის წინ. ალგირდას ბრაზაუსკასი, რომელიც პირველი ჩაუდგა სათავეში ამ მოძრაობას და პრეზიდენტიც კი გახდა აცხადებდა და მეუბნებოდა: ჩვენთან ყველა მიტინგი და აქცია ტარდება სტადიონზე, შეთანხმებულია დრო, 6 და 8 საათამდე. არ არის გადაჭარ-ბებული არც მოქმედებადა არც განცხადებები. წარმოუდგენელია, რომ თქვენთან მიტინგები მთავრობის სახლის წინ ტარდებაო.“

ეროვნული მოძრაობის გააქტიურებას ერთი მთავარი ინტრიგაც ახლდა. ლიდერებს ეროვნული შუღლის გაღვივებაში სდებდნენ ბრალს. ლოზუნგი საქართველო ქართველებისათვის საქართველოში მცხოვრებმა ქართველებმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს, რის გამოც ეროვნული მოძრაობიის ლედერებს ხშირად თავის მართლება უწევდათ.

არქივი

53:42 ნოემბრის აქციების დროს უბრალო მოქალაქე ქალბატონი ემუ-დარება ზვიად გამსახურდიას, რომ ყველაფერი იყოს მშვიდობიანად და ერთი წვეთი სისხლი არ დაიღვაროს ვინმესი. გინდ ჩემი გინდ სხვისი

54:38 ზვიად გამსახურდია: „აურაცხელი დეზინფორმაცია ვრცელდება უკეთურთა მიერ, ჩვენი ერის მტერთა მიერ ამ შიმშილობის და დემონ-სტრაციის გამო, ვითომდაც ეს ყოველივე მიზნად ისახავს, რუსების, სომ-ხების, აზრებაიჯანელების საქართველოდან გაძევებას, ვითომდაც ეს ახალგაზრდები ამის გამო შიმშილობენ რომ მცირე ერები გააძევონ საქარ-თველოდან ეს არის სიცრუე და დეზინფომაცია.“

55:08 თამარ ჩხეიძე: „თქვენ შეიძლება ეს პარადოქსად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს ექსტრემიზმი არ იყო თავისთავდ ციდან ჩამოვარდნილი, პირ-დაპირ შემიძლია გითხრათ რომ მართული იყო ცენტრიდან. რადგან ეროვნული მოძრაობა წარმოიშვა გაძლიერდა, მათ გადაწყვიტეს რომ ამ მასობრივ ეტაპზე გაცილებით ხელსაყრელი იყო მათთვის, მე ვგულისხმობ, რომ ეს ყველაფერი დაგეგმილი იყო ცენტრიდან და გაცილებით ხესაყრელი

იყო, რომ ეს ეროვნული მოძრაობა წასულიყო აგრესიის და ექსტრემიზმის გზით, ვიდრე წასულიყო გონივრული, ჯანსაღი აზრის გზით და ჰქონოდა მეტი შედეგები და ამიტომ ხდებოდა წაქეზება...“

55: 50 ფიქრია ჩიხრაძე : „და კიდევ იყო ბევრი თავგაცხელებულ ადამიანი, შეიძლება პროვოკატორი, შეიძლება გულწრფელად ამ პოზიციაზე მყოფი, რომელსაც სამწუხაროდ ასეთ იდეები ჰქონდა. არა დომინანტური ცხადია.“

ზვიად გამსახურდია: არქივი შეხვედრა: „ყველა ის ვინც ამ ხმებს ავრცელებს არის პროვოკატორი, არავითარი ამგვარი მოთხვნა ჩვენ არ გაგვაჩნია, არაქართველთა გაძევებას ჩვენ არ მოვითხოვთ, მაგრამ ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ქართველები საქართველოში ეროვნულ უმცირესობად იქცნენ. ამის გამო ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს მოქალაქეობის შემოღებას.

56: 03 იზა ორჯონიკიძე: „დიდ სიფრთხილეს გთხოვთ, განსაკუთრებით იმ არაქართველი მოსახლეობის მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ დედაქალაქში, რადგან ჩვენ არც იმდენი მეგობრები გვყავს, როგორც ჩვენ გვგონია, ვიყოთ მზად რომ ყველა სიტუაციაში, იმ ამოცანების დონეზე მოვიქცეთ და ვუპასუხოთ და დავიცვათ ეროვნული ღირსება. ჩვან ახლა უნდა გადავრჩეთ ისე , რომ საქართველოში, თბილისში ჯარი არ შემოიყვანონ...“

57:06 გიორგი ჭანტურია მიტინგზე: „ჩვენ თუკი ყველა ჯანსაღი ეროვნული ძალა ერთად ვიქნებით არ არსებობს ტანკი, არ არსებობს იარაღი და სამხედრო ავიაცია, რომელმაც შეძლოს ქართველი ერის უტეხი ნებისყოფის გატეხვა“.

ეროვნული მოძრაობა ემოციური ეგზალტაციის გზით მიდიოდა, რომანტიკისა და თავდადების სფეროდან მოსულ რადიკალებს ახალ პოლიტიკურ ვითარებაში ეგრეთწოდებული ყინულმჭრელის ფუნქცია უნდა ჰქონოდათ, თუმცა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე გადამწყვეტი სიტყვა ბალტიისპირელების მსგავსად, რომელთაც კომუნისტებთანაც კი მოახერხეს საერთო ენის გამონახვა, შედარებით ზომიერ ლიბერალურად და პრაგმატულად მოაზროვნე ძალებს უნდა ეთქვათ, რაც საქართველოში ვერ მოხერხდა...

თამარ ჩხეიძე: „ბალტიისპირელების მთავარი უპირატესობა ის იყო, რომ მათ იცოდნენ რა უნდოდათ და ამის გარშემო მოძრაობდნენ ყოველგვარი ეგზალტაციის გადარევებისა და რადიკალიზმის გარეშე, იცოდნენ რომ უნდოდათ დამოუკიდებლობა, ნორმალური დემოკრატიული განვითარება და არა ბელადების ჰეგემონია. საქართველოში სხვა სიტუაცია იყო, ეს რაღაც თეატრალიზებული ექსტრემიზმი, კივილი, წივილი აგრესიული ტონი, ამან ცუდი როლი ითამაშა, იქ იყო გონიერება, უპირველეს ყოვლისა და მიზანდასახული ქმედება. ბალტიისპირელების გზას განსაკუთრებით ვუჭერდით მხარს ეს იყო მეორე მიმართულება ეროვნული მოძრაობის და ვფიქრობდით რომ ეს იყო სწორი გზა. ყოველგვარი ეგზალატაციის გარეშე, თუმცა ძალიან პრინციპული. სამწუხაროდ, ამ გზამ საქართველოში განიცადა სრული კრახი.

26 ნოემბერს ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი მოსკოვში გაემგზავრა, საკავშირო უმაღლესი საბჭოს სესიამდე საკითხის დადებითად გადაწყვეტის გარანტიას ვერავინ იძლეოდა.

ეროვნული ძალების, ინტელიგენციისა და სტუდენტების შეეიდრაზე სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ ასეთი რამ თქვა: 59: 17 როდესაც ასეთ აუდიტორიასთან გვაქვს საქმე, ყოველთვის გულწრფელობა ჯობია, ბევრს ისიც არ აკმაყოფილებს, რა არნახული გადაწყვეტილებაც საქართველოს უმაღლესი საბჭოს წევრებმა მიიღეს. მე ხაზი მინდა გავუსვა ამ გარემოებას, მაგრამ შევძლებთ კი ჩვენ იმას, რომ საკავშირო სესიაზე, მოხდეს ასთივე გადაწყვეტილების მიღება. (ჩოჩქოლი ჩვენ გეკითხებით თქვენს პირად პოზიციას), პირადად ჩემი სახელით მოგახსენებთ ...თუ საკითხი დადგა ასე , რომ უცვლელად იქნა კანონპროექტი კენჭის საყრელად წარმოდგენილი, მე პროტესტის ნიშნად ავდგები და გავალ დარბაზიდან..(ტაშის გრიალი)“

აკაკი ბაქრაძე: რუსთაველის საზოგადოების ლიდერი... „ჩემი აზრით ეს პროექტი მიღებული არ იქნება, და ამას მოჰყვება არასასურველი რეაქცია ოფიციალური ხელისუფლებისაგან. ამას გათვალისწინება სჭირდება, თუ მე ვცდები ღმერთმა ქნას.“

გიგა ლორთქიფანიძე: „მოგიწოდებთ, მშვიდობიანად, გონიერად, საკუთარი ამბიციების გარეშე, გვაქვს ჩვენ უნარი რომ ახლა ყველაფერი დავუქვემდებაროთ ჩვენი ერის კეთილდღეობას? თუ მზად ვართ გავწიროთ ყველაფერი, რომ დავიკმაყოფილოთ ჩვენი ერთწუთიანი ემოციები.“

დავით ტურაშვილი: „ 29-ში რაც არ უნდა მოხდეს ხალხნო, ვიცოდეთ რომ პროვოკაცია ჩვენგან არ მოდის, ერთი რამეც არის, შეიძლება რაღაცეების მოთმენაზეც კი წავიდეთ რაღაცეების გამო, იმიტომ რომ იდეა რომლისთვისაც ჩვენ იქ შევიკრიბებით წმიდათა წმინდაა, რისთვსაც ადამიანი იბადება და ერი არსებობს ამ ქვეყანაზე, დამოუკიდებელი როგორ არ უნდა ვიყოთ ხალხნო...“

მთელი ამ ბატალიებისა და ვნებათაღელვის პარალელურად, 29 ნოემბერს, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი საკავშირო უმაღლესი საბჭოს სესიაზე შემდეგი სიტყვებით წარსდგა: „ჩვენ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე დავრწმუნდით, რომ საზოგადოების მართვა დემოკრატიული მეთოდებით განუზომლად რთულია, ვიდრე ავტორიტარული გზებით, მაგრამ დემოკრატია ერთადერთი გზაა საზოგადოებრივი პროცესების გაჯანსაღებისა. ნებისმიერმა სიჩქარემ და დაუფიქრებლობამ შესაძლოა ერთი ხელის მოსმით გაანადგუროს ის უდიდესი პოლიტიკური მონაპოვარი, რომელიც მიღწეულია გარდაქმნის წლებში... “

8 დღიანმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა პროტესტმა შედეგი გამოიღო, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი არ დამტკიცდა. ნოემბრის მოვლენების ბოლო აკორდი, ქართველი ხალხისადმი მიხეილ გორბაჩოვის რადიომიმართვა იყო, რომლიც 29 ნოემბრის მიტინგზე ხმამაღლა წაიკითხეს. მოშიმშილეები და საზოგადოება ერთმანეთ გამარჯვებას ულოცავდნენ და ნელნელა იშლებოდნენ. მიხეილ გორბაჩოვის მიმართვის ტექსტი შემორჩენილია მიხო ბორაშვილის დოკუმენტურ ფილმში „სამანი“ ახლა გთავაზობთ მიმართვის ტექსტს:

„საქართველოს ახალგაზრდობას! ჩვენ ვეცადეთ მოგვეძებნა და ჩამოგვეყალიბებინა ისეთი ფორმულირებები, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო

გათვალისწინებული საქართველოს აზრი, ამგვარად ვიმუშავეთ იმისათვის, რომ საკავშირო ფედერაციულობის პრინციიპის დაურღვევლად, საქართველოს საზოგადოების მოსაზრებებს კიდევ უფრო გაეწიოს ანგარიში. ჩემი დამოკიდებულება საქართველოსადმი იყო და არის ყოველთვის მოკრძალებული, აღსავსე დიდი პატივისცემით ქართველი ხალხისადმი. სიყვარულის და აღტაცების გრძნობები მომავალშიც ურყევი იქნება. მე ღრმად მწამს, რომ ქართველი ხალხი, საქრთველოს ახალგაზრდეობა და კომუნისტები გამოიჩენენ დიდ სიდინჯეს შქმნილი ვითარების გადსალახავად. გადეცით ყველას, რომ საქართველოს და მის მშრომელებს საფუძველი აქვთ იყვნენ მშვიდად, იყვნენ თვითდაჯერებულნი და მშვიდნი. მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი“.

რათქმაუნდა ამ საკითხების კვლევისას მიმართვის ტექსტის შესახებ ჯუმბერ პატიაშვილს პირადად ვკითხე 2010 წელს, რაზეც მოულოდნელი პასუხი მივიღე: 1.04 „ოპოზიციას, რომელიც აქ მიტინგებს ატარებდა სჭირდებოდა დაშლა არა პატიაშვილის გამოსვლის შემდეგ, არამედ მაშინ, როცა გამოქვეყნდებოდა გორბაჩოვის მიმართვა. გამოიგზავნა დეპეშა, რომელიც მას არ დაუწერია. ეს ისეთი თემაა, რომელსაც მკვლევარები გაარკვევენ. ვინ გააკეთა, როგორ გააკეთეს. მე- 12 და მე-15 საუკუნის ისტორიას ეძიებიან და არც ამ საკითხის გარკვევა იქნება პრობლემა. ეროვნული მოძრაობის შტაბში ვინც იყვნენ ეს საკითხი იმათთანაც არის გასარკვევი. „ედეპემ“ მაშინ ფილმიც გადაიღო -„კრემლმა უკან დაიხია“, არადა როგორ დაიხია კრემლმა უკან მე ვარ ამის მოწმე. როგორი ბრძოლა მიდიოდა იქ მოსკოვში. რამხელა წინაღმდეგობა იყო..“

თუ როგორ შეაფასა ეროვნული მოძრაობის რადიკალურმა ფრთამ ნოემბრის ბატალიების შედეგები, დოკუმენტური კადრები მეტყველებენ. ნაშრომი მინდა დავასრულო ამონარიდით ფილმიდან „სამანი,“ სადაც კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი უშედეგოდ ცდილობს „ედეპეს“ლიდერს ნოემბრის აქციებზე მცირე დადებითი შეფასება დააცდენინოს.

გია ჭანტურია: -გარდაქმნა და საჯაროობა მთელს ედეპეს და აქ მყოფ საზოგადოებას მიაჩნია ფიქციად. ეს არის ფიქცია. ეს იყო იძულებითი ნაბიჯი კრემლისა, რომ კოსმეტიკური საშუალებებით შეელამაზებინა გარეგნული ფასადი, მაგრამ შინაგანი არსი უცვლელი დაეტოვებინა, მაგრამ სიტუაცია გამოვიდა კონტროლიდან და ახლა ის ცდილობს ამ ახალი კანონპროექტებით, ბოლო ნიმუში სახეზე გვაქვს, წინდაწინ გაითვალისწინოს რაღაცეები რომ ეს ხალხი კვლავ იმ ბოთლში ჩაამწყვდიოს, საიდანაც ახლა გამოუსხლტა.

მერაბ კოკოჩაშვილი: - შედარება არ არის დემოკრატიის იმ ხარისხს შორის რომელიც დღეს არის და რომელიც იყო 2 წლის წინ.

გია ჭანტურია: - კრემლს იმდენად სწამდა და სჯეროდა, რომ დემოკრატიული მოძრაობები, ეროვნული მოძრაობები, კარგი გაგებით ნაციონალისტური მოძრაობები იმდენად ვიწრო და კარჩაკეტილი იყო, რომ ვერ გაითვალისწინა რეალურად ეს საშიშროება, თვითონვე დაიჯერა იმ ტყულის, რასაც წლების მანძილზე გაზეთებში წერდა, რომ ეს არის ექსტრემისტთა ერთი ჯგუფიდა ა.შ. და თვითონვე მოექცა ამ ილუზიების ქვეშ“

მაკროსოციოლოგიაში არსებობს ტერმინი: „დამღუპველი თვითდაჯერებულობა,“ რომელიც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თანმდევია დღესაც.

80 იანი წლების მიწურული მართლაც საბედისწერო აღმოჩნდა საბჭოთა ეპოქისთვის. მისი რყევის პარალელურად სისხლიანი ასოებით იწერებოდა კავკასიის თავისუფლების მოყვარე ხალხის უახლესი ისტორია. საბჭოთა ნანგრევებში ყოფნის საშინელებას დიდ ხანს გამოცდის უბრალო ხალხი.

არქივი: ცხინვალი 1989 წლის 23 ნოემბერი, რიგითი მოქალაქე ესაუბრება რუს გენერალს: „ სიკვდილის არ მეშინია, სიძულვილის მეშინია, ვინ არის დამნაშავე რაც ჩვენს თავს ხდება.“ აი ასეთი იყო ქართული პოლიტიკური ცხოვრების ლოგიკა, წინ 9 აპრილი, სამოქალაქო ომი და აფხაზეთის ტრაგედია გველოდა.

Maya (Tatia) Pachkoria

THE ANATOMY OF MARATHON DEMONSTRATIONS AND THEIR CONSEQUENCES

Abstract

There is a term known in macrosociology as “destructive self-confidence”, which still affects socio-political life of Georgian people.

In the late 1980s, along with the rise of national self-awareness in Georgian society, the multifaceted human energy accumulated over decades during the Soviet regime was released that was manifested inadequate activities of people at marathon rallies. At this time, Georgian ethnopsychology displayed negative traits (perhaps still unnoticed by the masses) such as cult of a leader, intolerance of dissent, and major discord instead of cooperation, which manifested itself in the permanent disruption of the unity of the national movement and the public. There was a confrontation even in the discredited and already weakened communist camp. It seemed that all public figures felt the approaching danger, therefore all of them tended to assume responsibility for the consolidation of the nation. The archival material preserved at the Public Broadcaster provides reliable information for researching public opinion and the ethos of that rallies. While working at the channel, I had the opportunity to perceive the digital chronicle of our country and take the pulse of the era. Before making any assessment, I would like to revive on paper the ethos of the people participating in those events and let the reader judge for himself whether our country had a chance to avoid the upcoming bloody tragedies.

Keywords: November rallies, Scientific elite, National Movement, Dangerous Slogans, Ruins of the Empire, Political Labels.